# ახალგაზრდობის დიდი თავყრილობა

26 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის XVI ყრილობა.

ყრილობას ესწრება 4695 დელეგატი — 27 მილიონი საბჭოთა ჭაბუკისა და ქალიშვილის წარმომადგენელი. მოსკოვში ჩავიდნენ მსოფლიოს 84 ქვეყნის ახალგაზრდობის 98 კომუნისტური კავშირის, ახალგაზრდობის დემოკრატიული და სოციალისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დელეგაციები.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტიაჟელნიკოვმა.

ახალგაზრდებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მსოფლიოს პირველი კოსმონავტის, გმირულად დაღუპული კომკავშირელის ი. გაგარინის ხსოვნას.

პრეზიდიუმის, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიების არჩევისა და ყრილობის მუშაობის დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

შემდეგ ე. ტიაჟელნიკოვმა გააკეთა მოხსენება: „საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის ამოცანები ლენინის ანდერძის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში".

გუშინ ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 103 (4097)

1970 წ. 28 მაისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# მათ დაიმსახურეს ნიშანი „სპორტული მამაცობა"

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლენინური კომკავშირის საპატიო ნიშნით „სპორტული მამაცობა" დააჯილდოვოს:

მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მოსამზადებლად დიდად ნაყოფიერი შრომისთვის და კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით მათს აღსაზრდელად: ვ. აბალაკოვი (მოსკოვი, მთამსვლელობა), ა. აზარიანი (ერევანი, ტანვარჯიში), ვ. ალექსეევი (ლენინგრადი, მძლეოსნობა), ი. გრიშინი (მოსკოვი,ველოსპორტი), მ. ნიიაზოვი (აშხაბადი, სროლა), ლ. სკობლიკოვა (მოსკოვი, ციგურაობა);

გამარჯვების მისაღწევად დიდი ნებისყოფის, ვაჟკაცობის, შეუპოვრობისა და მაღალი სპორტული ოსტატობის გამოჩენისთვის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებსა და მსხვილ საერთაშორისო შეჯიბრებებში: ე. ბელოვა-ნოვიკოვა (მინსკი, ფარიკაობა), ვ. ვედენინი (მოსკოვი, სათხილამურო სპორტი), გ. ნაპალკოვი (გორკი, სამთოსათხილამურო სპორტი), მ. პაულაუსკასი (კაუნასი, კალათბურთი), ი. როდნინა (მოსკოვი, ფიგურული ციგურაობა), ი. რომიშევსკი (მოსკოვი, ჰოკეი), რ. რურუა (თბილისი, ჭიდაობა), ვ. სანეევი (სოხუმი, მძლეოსნობა), ვ. სოკოლოვი (ჩებოქსარი, კრივი), ა. ულანოვი (მოსკოვი, ფიგურული ციგურაობა), ნ. ჩიჟოვა (ლენინგრადი, მძლეოსნობა), ა. შაპორენკო (სუმი, ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოებით), ა. შესტერნიოვი (მოსკოვი, ფეხბურთი).

# სტარტზე — ნორჩები

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის გახსნით დიდი საქმე გაკეთდა: გარდა იმისა, რომ საშუალო სკოლების მოსწავლე ათასი ჭაბუკი და გოგონა თავისუფალ დროს უქმად არ კარგავს, ბავშვები „სპორტის დედოფლის" საიდუმლოებებსაც ეუფლებიან. სულ მალე ისინი სათანადო შევსებას მისცემენ რესპუბლიკის მოზრდილთა ნაკრებსაც (მოსწავლეთა ნაკრებზე აღარას ვამბობთ, ვინაიდან გუნდში ამ სკოლის უკვე ბევრი აღსაზრდელი შედის).

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. იოსელიანის ხელმძღვანელობით სპორტსკოლა, რომელიც მწვრთნელ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული, არსებობის 3 წლის მანძილზე საკმაოდ გაძლიერდა. ამ სკოლის რჩეული წარმომადგენლები რამდენიმეჯერ გამოვიდნენ საქალაქო ტურნირში, დონეცკელ, დნეპროპეტროვსკელ, ზაპოროჟიელ, ლვოველ, სევასტოპოლელ თანატოლებთან მატჩებში.

ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა პირველი მასობრივი შიდასასკოლო ტურნირი, რომელშიც ოთხივე ასაკის (10-12, 13-14, 15-16 და 17-19 წლის) აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. სტარტზე ათასივე ბავშვი გამოვიდა.

ასპარეზობა, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, ნამდვილ სპორტულ ზეიმად იქცა. პატარები ერთმანეთს მათთვის ხელმისაწვდომ სახეობებში — სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, სირბილში ეჯიბრებოდნენ, უფრო მოზრდილების ასპარეზობის პროგრამაში კი სხვა სახეობებიც შედიოდა.

სიმაღლეზე მხტომელები სხვადასხვა სტილს იყენებდნენ, მათ შორის ფოსბიურის მიმდევრებიც ბლომად იყვნენ.

სკოლამ უკვე 57 მეორეთანრიგოსანი, 130 მესამეთანრიგოსანი და ასობით მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი მოამზადა. ამ ტურნირის დამთავრების შემდეგ თანრიგოსანთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისის 67-ე სკოლის მეექვსეკლასელმა ნატო მამულაშვილმა, 125-ე სკოლის მეხუთეკლასელმა თინათინ კოხაძემ, მე-140 სკოლის მეოთხეკლასელმა მალხაზ შალვაშვილმა და სხვ.

— ტურნირების ხშირად და სათანადო დონეზე გამართვას მეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ბავშვებმა მძლეოსნობის საიდუმლოებაც უნდა ისწავლონ და ტურნირებს, ასპარეზობის კულტურასაც მიეჩვიონ, — გვითხრა სკოლის დირექტორმა დ. იოსელიანმა. — სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ საზაფხულო არდადეგები მხოლოდ საშუალო სკოლებში დაიწყება. ჩვენი სკოლის აღსაზრდელები კი ზაკურიანსა და შავი ზღვის ნაპირს მიაშურებენ, სადაც გამაჯანსაღებელ ბანაკებში გავაგრძელებთ წვრთნას.

რ. მაღრაძე.

სურათებზე: ზევით — თ. კოხაძე ფინიშთან; ქვევით — 60 მეტრზე მორბენალი ბიჭები დისტანციაზე.

ავტორის ფოტო.



# პოლონელ მრბოლელთა ბრწყინვალე წარმატება

ბერლინი, 26 მაისი. პოლონელ მრბოლელთა ბრწყინვალე წარმატებით დამთავრდა დღეს აქ მშვიდობის ტრადიციული, XXIII ველორბოლა, რომელიც ამჯერად ასეთი მარშრუტით მოეწყო: პრაღა — ვარშავა — ბერლინი. პოლონელებმა ყველას აჯობეს როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში: მათმა ნაკრებმა 15 ეტაპად დაყოფილ (დაახლოებით 2 ათასი კმ) შეჯიბრებაში თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ბოლომდე არ დაუთმია იგი. გამარჯვებული გუნდის დროა 189:58.15, ხოლო I ადგილზე გასული რ. შურკოვსკისა — 47:24.42.

II ადგილებზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები (190:15.39) და ფრანგი მ. დიუშემენი (47:26.14), III — სსრ კავშირის გუნდი (190:22.06) და პოლონელი ზ. ხანუშჩიკი (47:30.14).

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო სოჭელი გ. საიდხუჟინი — X ადგილი, 47:33.40.

დანარჩენმა საბჭოთა მრბოლელებმა შემდეგი ადგილები დაიკავეს: 18. ი. მიხაილოვი (იაროსლავლი) — 47:35.26, 20. რ. კალნენიეკსი (რიგა) — 47:36.24, 21. ი. დმიტრიევი (მოსკოვი) — 47:36.36, 25. ვ. კუხარსკი (ალმა-ათა) — 47:37.59, 29. ა. გუსიატნიკოვი (კუიბიშევი) — 47:38.00, 61. ვ. სოკოლოვი (ომსკი) — 48:44.00.

ბოლო, XV ეტაპმაც ორმაგი წარმატება მოუტანა პოლონელებს. 201 კილომეტრი აილენბურგიდან (ლაიპციგის მახლობლად) ბერლინამდე ამ ქვეყნის ნაკრებმა ყველაზე სწრაფად დაფარა — 17:53.44. ბერლინის ველოტრეკზე ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა ასევე პოლონელმა ვ. მატუსიაკმა — 4:27.20.

საბჭოთა გუნდი მესამე იყო — 17:56.16.

* * *

— ეს გახლდათ ბრწყინვალე რბოლა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ფ. ვრზალმა (ჩეხოსლოვაკია). — ბრწყინვალეა პოლონელთა გამარჯვებაც, რომლებსაც ამჯერად ფაქტიურად არც გამოუჩნდათ ღირსეული მეტოქეები.

— მე დიდი ხანია ვოცნებობდი მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებაზე და აი, ოცნება ამიხდა კიდეც, — განაცხადა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ შურკოვსკიმ. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მთელი გუნდის დამსახურებას თავის წარმატებაში და თქვა, რომ შეჯიბრების მსვლელობისას ამხანაგები ძალიან ეხმარებოდნენ. გამარჯვებულის გეგმები? ახალი საწვრთნელი ვარჯიშები, მერე კი დიდი შეჯიბრებების სტარტები. დასვენება? მრბოლელისთვის საუკეთესო დასვენებაა, როცა იგი ველოსიპედის „უნაგირზე" ზის.

საბჭოთა ველოსპორტის ვეტერანმა გ. საიდხუჟინმა თქვა:

— შეჯიბრების ორგანიზატორებმა ამჯერად შედარებით იოლი ტრასა აირჩიეს და მწვავე პოზიციური ბრძოლა ფაქტიურად არც ყოფილა. ჩვენს გუნდს მეტისმეტად არ სწყალობდა ბედი: ხშირად გვიტყდებოდა მანქანები, ასევე ხშირი იყო დავარდნაც.

ეს საბჭოთა ველოსიპედისტების მწვრთნელმა ა. ჩერეპოვიჩმაც დაადასტურა:

— გულდასაწყვეტი ხშირი დავარდნა და მანქანების დეფექტები რომ არა, ჩვენ უკეთ გამოსვლა შეგვეძლო. უნდა აღვნიშნო მებრძოლის თვისებები ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენებისა, რომლებიც, მრავალრიცხოვანი ტრავმის მიუხედავად, მოასპარეზეთა რიგებს უბრუნდებოდნენ და რბოლა ყველამ დაამთავრა. ერთიც მსურს აღვნიშნო: თავიანთი ბრწყინვალე შედეგებით გამარჯვებულებმა ყველა მეტოქეს პირდაპირ ფსიქოლოგიური დარტყმა აგემეს.

## დღეს

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სხდომათა დარბაზში (ცამოს ქ. № 70) გაიმართება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმი.

დღის წესრიგი: „სპარტაკის" რესპუბლიკური ორგანიზაციის მიერ 1969 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები და 1970 წლის ამოცანები".




საქართველოს სტუდენტთა თამაშები

# იამზე ტყაბლაძემ ყველას აჯობა

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, ოთხ დღეს მიმდინარეობდა უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდური შეჯიბრება რუსულ შაშში. სათამაშოდ მხოლოდ 8 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები გამოცხადდნენ. თითოეულ გუნდში 3 ვაჟი და 2 ქალი იყო.

მონაწილენი ორ ჯგუფად დაიყვნენ. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჯგუფებში შესაბამის ადგილებზე გასული კოლექტივები. უნივერსიადის ჩემპიონობის საკითხი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ცხინვალის პედინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში გადაწყდა.

ბრძოლა უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა. გაიმარჯვეს მომავალმა ინჟინრებმა — 3:2. ამ მატჩის ცალკეული შედეგები ასეთია: ოსტატი თ. ბარამიძე (სპი) — ოსტატობის კანდიდატი ვ. გობოზოვი 1:0, ოსტატი ი. სპესივცევი — ოსტატობის კანდიდატი ვ. ხარებოვი 0,5:0,5, ოსტატობის კანდიდატი ბ. ლოსაბერიძე — ლ. კოჩიევი 0,5:0,5, მ. ტოგონიძე — ნ. ბესთაევა 0:1, ლ. ბარდინინა — მ. მაისურაძე 1:0.

შემდეგ ადგილებზე გავიდნენ: III. უნივერსიტეტი, IV. გორის პედინსტიტუტი, V. ქუთაისის პედინსტიტუტი, VI. თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი, VII. სამედიცინო ინსტიტუტი, VIII. უცხო ენათა ინსტიტუტი.

დაფების მიხედვით უნივერსიადის ჩემპიონები გახდნენ — ვაჟებში: I დაფაზე — თ. ბარამიძე (3,5 ქულა 4-დან), II — ი. სპესივცევი (3,5), III — ბ. ლოსაბერიძე (3); ქალებში: I დაფაზე — ი. ტყაბლაძე (ქუთაისის პედინსტიტუტი) — 4, II — ლ. კიანკო (პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი) — 2,5.

თ. ნინოშვილი.

## მხოლოდ ციფრები...

**ქართული ჭიდაობა.** გუნდური პირველობის საპრიზო ადგილები: 1. გორის პედინსტიტუტი, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 3. თელავის პედინსტიტუტი. **გამარჯვებულნი** (წონითი კატეგორიების მიხედვით): მ. დავითაშვილი (ფიზკ. ინსტ.), შ. მელაძე, ი. იმერლიშვილი, შ. შაქარიშვილი (სამივე — გორის პედინსტ.), მ. ახალაური (ფიზკ. ინსტ.), ე. ქაიხოსროშვილი, ვ. იაშვილი, ო. ქიბროწაშვილი (სამივე — გორის პედინსტ.).

**ძალოსნობა.** გუნდური პირველობის საპრიზო ადგილები: 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 3. უნივერსიტეტი. **გამარჯვებულნი** (წონითი კატეგორიების მიხედვით): თ. ბაზერაშვილი (თსუ), ა. ბაგაევი (ცხინვალის პედინსტ.), ი. ბაბაევი, მ. უჯუხუ (ორივე — ფიზკ. ინსტ.), ა. ნალბანდიანი, ო. ბედოშვილი, ი. კაკაურიძე (სამივე — სპი), თ. დოლიძე (ბათუმის პედინსტ.), ლ. ნატროშვილი (ქუთაისის პედინსტ.).

**ჩოგბურთი.** გუნდური პირველობის საპრიზო ადგილები: 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 3. უნივერსიტეტი. **გამარჯვებულნი:** ვაჟთა ერთეულებში — პ. აბაშკინი (სპი), ქალთა ერთეულებში — ო. პაპაიანი (ფიზკ. ინსტ.).

**ფრენბურთი.** საპრიზო სამეულები: ქ ა ლ ე ბ ი. 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. უნივერსიტეტი, 3. პუშკინის სახ. პედინსტიტუტი. ვ ა ჟ ე ბ ი. 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. უნივერსიტეტი, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი.

* * *

25 სახეობაში გამართული შეჯიბრებების შემდეგ კომპლექსურ ჩათვლაში პირველი ექვსეულის მდგომარეობა ასეთია:

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 1932 ქულა.**

**უნივერსიტეტი — 1321.**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი — 1161.**

**გორის პედინსტიტუტი — 436.**

**ქუთაისის პედინსტიტუტი — 404.**

**თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტი — 288.**

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის!

# ისრები — მიზანში

მშვილდოსნობა საქართველოში ახალი ხილი არ არის, მაგრამ სპორტული მშვილდოსნობა სულ სხვაა. სპორტსმენები ამ სახეობაში სპეციალური მშვილდებითა და საგულდაგულოდ შერჩეული ისრებით ასპარეზობენ. პირველი ასეთი ტურნირი სსრ კავშირში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის დღეებში გაიმართა. ეს იყო 1957 წელს.

მაშინ სპორტულმა მშვილდოსნობამ დიდი მოწონება ჰპოვა და მას საბჭოთა ქვეყნის ბევრ კუთხეში გაუჩნდნენ მიმდევრები. ამ სახეობის დანერგვა საქართველოშიც დაიწყო, მაგრამ, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, პირველხარისხოვანი ინვენტარის უქმარისობის გამო იგი ჩვენშიც მეტისმეტად ნელი ტემპით ვითარდება. ამ მხრივ უკეთეს პირობებშია უკრაინის გუნდი, ვინაიდან ლვოვის თხილამურების ქარხანამ საბჭოთა კავშირში პირველმა დაიწყო მშვილდებისა და ისრების გამოშვება. სპორტული ინვენტარით ბალტიისპირეთსა და მოსკოვშიც უზრუნველყოფილი არიან.

ამ საქმის დიდი ენთუზიასტის, თადარიგის პოდპოლკოვნიკ შ. ჯაშიაშვილის თაოსნობით ქუთაისში სპორტული მშვილდოსნობის პირველი ჯგუფი 1958 წელს ჩამოყალიბდა. იმ დროისთვის რამდენიმე პირველხარისხოვანი მშვილდისარიც დაამზადეს, ნაყოფიერად ივარჯიშეს და რესპუბლიკის ჩემპიონებიც გახდნენ. ჯაშიაშვილს მხარი დაუჭირეს ქალაქისა და რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტების ხელმძღვანელებმა, ქუთაისელ სპორტსმენებს წვრთნის პირობები გააუმჯობესდათ. სხვა ქალაქებსა და რაიონებში მშვილდოსნობის განვითარებისთვის თავს არ იწუხებდნენ.

წლები გადიოდა, ჯაშიაშვილის აღსაზრდელები შედეგებს თუმცა ნელა, მაგრამ მაინც აუმჯობესებდნენ და ახლა რესპუბლიკის ყველა ჩემპიონი და რეკორდსმენი ამ ქალაქის წარმომადგენელია. ქუთაისელებმა თავიანთი უპირატესობა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ საქართველოს ჩემპიონატში, რომელშიც „ბურევესტნიკის", „განთიადის", „დინამოსა" და „კოლმეურნის" გუნდები მონაწილეობდნენ.

ის ფაქტი, რომ სარბიელზე მარტო 4 კოლექტივი გამოვიდა, ნათლად მეტყველებს: „ლოკომოტივში", „სპარტაკში", „შრომით რეზერვებში", მოსწავლეებში, თბილისის არმიელთა სპორტკლუბში მშვილდოსნობის დანერგვა-განვითარებისთვის არ ზრუნავენ.

„ბურევესტნიკისა" და „განთიადის" გუნდები თითქმის მთლიანად ჯაშიაშვილის აღზრდილებით იყო დაკომპლექტებული. ამიტომ საერთო გუნდურ ჩათვლაში I და II ადგილებიც მათს შორის განაწილდა. ამ საზოგადოების ქალთა და ვაჟთა კოლექტივები, შეიძლება ითქვას, თანაბრად იყვნენ მომზადებული, რასაც „დინამოსა" და „კოლმეურნის" წარმომადგენლებზე ვერ ვიტყვით... „დინამოს" ვაჟებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში 1836 ქულა მოაგროვეს და 1 ქულით აჯობეს „განთიადს". მაგრამ იმის გამო, რომ დინამოელმა ქალებმა 421 ქულა მიიღეს, განთიადელებმა კი 1802, საერთო II ადგილი „განთიადს" დარჩა. რაც შეეხება სტუდენტთა კოლექტივს, მისი უპირატესობა აშკარა იყო: ქალებმა 2352 ქულა მოაგროვეს, ვაჟებმა — 2429, და რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ „ბურევესტნიკმა" „კოლმეურნეს" (ქალები — 390 ქულა, ვაჟები — 1072) ჯამში 3319 ქულით აჯობა.

„დინამოსა" და „კოლმეურნის" წარუმატებლობა სწორედ ინვენტარის უქონლობისა და არარეგულარული ვარჯიშის ბრალია. არადა, ორივე საზოგადოებას აქვს ამ ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობა. „დინამომ", როგორც ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა გვითხრეს, უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი — შარშან თბილისში, ცენტრალური საბჭოს პირველობაში სამარცხვინო მარცხის შემდეგ სათანადო დასკვნები გამოიტანა, ახალი ინვენტარი შეიძინა და საგაისოდ პირველობისთვის ბრძოლასაც აპირებს. ვნახოთ!

შეჯიბრებაში 6 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 12 პირველთანრიგოსანი და ათობით სხვა თანრიგების სპორტსმენი გამოდიოდა. ოსტატობის კანდიდატები და მაღალთანრიგოსნების უმეტესობა ქუთაისის წარმომადგენლები არიან. ეს ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, რომ ქუთაისში სპორტის ამ სახეობის განვითარება სწორ გზაზე დგას, რაშიც სათანადო დამსახურება, როგორც ჯაშიაშვილმა აღნიშნა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლასაც (დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე) მიუძღვის. სკოლის დირექცია ზრუნავს, რათა მშვილდოსნებს სათანადო პირობები შეუქმნას.

ახლა პირადი პირველობისთვის ბრძოლის შედეგებს გაგაცნობთ. ვაჟები 90, 70, 50 და 30, ქალები კი 70, 60, 50 და 30 მეტრზე ასპარეზობდნენ. თითოეულ დისტანციაზე მონაწილეს 3-3 ისარი 12-12 სერიად უნდა ეტყორცნა. ესე იგი, 36 ისრით მას 360 ქულის მოგროვების შესაძლებლობა ჰქონდა.

70 მეტრზე მოასპარეზე ქალებში იმარჯვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტის მესამეკურსელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. რიჟამაძემ, რომელმაც 192 ქულა მოაგროვა და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა.

სხვა დისტანციებზე აშკარა იყო ქუთაისის პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დიპლომანტის, სპორტის ოსტატობის კანდიდატის ქ. ლოსაბერიძის უპირატესობა. სამგზის რესპუბლიკის ჩემპიონმა აბსოლუტური ჩემპიონობაც მოიგო — ოთხი დისტანციის ჯამში 963 ქულა დააგროვა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმას გადააჭარბა. ლოსაბერიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 50 მეტრზე ასპარეზობაში მან ვაჟებსაც კი აჯობა.

90 მეტრზე ვაჟებში საქართველოს ჩემპიონი გახდა ქუთაისის პედინსტიტუტის გეოგრაფია-ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის მეორეკურსელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ბ. ქორიძე. სხვა დისტანციებზე მისმა თანაკურსელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ე. არველაძემ იმარჯვა. ქორიძე ქუთაისში ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერიდან ჩავიდა სწავლის გასაგრძელებლად, არველაძე — ვანის რაიონის სოფელ გორადან. მშვილდოსნობაში ისინი სულ ორიოდე წელია ვარჯიშობენ. როგორც ჯაშიაშვილმა გვითხრა, მათ შეუძლიათ სპორტის ოსტატობაც მოიპოვონ. მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს ოსტატობის კანდიდატ ვ. სოხაძეზე, დებზე ქ. და დ. ლოსაბერიძეებზე, რიჟამაძეზე, გ. ფაიქიძეზე.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ამ სახეობაში ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარ მწვრთნელს ა. ბაქრაძეს ვთხოვეთ გამოეთქვა აზრი საქართველოში მშვილდოსნობის განვითარების შემაფერხებელ მიზეზებზე, სპორტის ოსტატებისა და საკავშირო პირველობის პრიზიორების აღზრდის საკითხზე.

— ჩვენი ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ მასობრიობას ვერ მივაღწიეთ. ეს მთავარი პრობლემაა, რომლის მიზეზიც მატერიალური ბაზის უქონლობა გახლავთ. ინვენტარი არ კმარა, გვაკლია მწვრთნელთა კადრები, ჩამორჩება ამ სახეობის პროპაგანდა, დღემდე არა გვაქვს მშვილდოსნობის სახელმძღვანელო. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მშვილდოსნობა საქართველოს V სპარტაკიადის პროგრამაში შედის. გუნდი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაშიც უნდა გამოვიყვანოთ. ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოუფხვრელად კი სპარტაკიადებში წარმატება შეუძლებელია. მომავალ დიდ ტურნირებში რომ არ შევრცხვეთ, ამ სახეობის განვითარებისთვის უფრო მეტი უნდა იმუშაონ სპორტსაზოგადოებებმა, უწყებებმა. რესპუბლიკის დიდ ქალაქებში უნდა მოეწყოს სპეციალური სასროლეთები, სადაც ყველა მსურველს შეეძლება ვარჯიში.

მშვილდოსნობა საინტერესო, მიმზიდველი სახეობაა. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ყველა ასაკს ემორჩილება.

* * *

რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილე სტუდენტები უნივერსიადაში თავიანთ სასწავლებლებს პარალელურ ჩათვლას აძლევდნენ. ამ შეჯიბრებაში გამარჯვება ქუთაისის პედინსტიტუტს დარჩა.

ო. გელაშვილი.

* * *

## ტექნიკური შედეგები

**ქალები. 70 მ.** გ. რიჟამაძე — 192 ქულა, ქ. ლოსაბერიძე — 169, გ. ფაიქიძე (ყველა — „ბურევესტნიკი") — 139; **გუნდური** (გუნდებს გამოყავდათ 4-4 სპორტსმენი, ჩათვლაში შედიოდა 3-3 საუკეთესო). „ბურევესტნიკი" — 495, „განთიადი" — 153 (2 მონაწილით), „დინამო" — 27; **70 მ.** ქ. ლოსაბერიძე — 235, ფაიქიძე — 207, მ. ყურაშვილი („განთიადი") — 202; **გუნდური.** „ბურევესტნიკი" — 523, „განთიადი" — 508, „კოლმეურნე" — 120 (2 მონაწილით); **50 მ.** ქ. ლოსაბერიძე — 250, ყურაშვილი — 180, ფაიქიძე — 156; **გუნდური.** „ბურევესტნიკი" — 558, „განთიადი" — 432, „კოლმეურნე" — 132; **30 მ.** ქ. ლოსაბერიძე — 309, ფაიქიძე — 254, ყურაშვილი — 250; **გუნდური.** „ბურევესტნიკი" — 771, „განთიადი" — 709, „დინამო" — 196. **აბსოლუტური.** ქ. ლოსაბერიძე — 963, რიჟამაძე — 762, ფაიქიძე — 751.

**ვაჟები. 90 მ.** ბ. ქორიძე — 134, ვ. სოხაძე — 115, გ. არჩვაძე (ყველა — „ბურევესტნიკი") — 110; **გუნდური.** „ბურევესტნიკი" — 346, „დინამო" — 220, „განთიადი" — 152; **70 მ.** ა. არველაძე — 197, ვ. დვალიშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი") — 180, ბ. ქორიძე — 173; **გუნდური.** „ბურევესტნიკი" — 550, „განთიადი" — 476, „დინამო" — 379; **50 მ.** არველაძე — 246, თ. გორდელაძე („ბურევესტნიკი") — 206, ქორიძე — 204; **გუნდური.** „ბურევესტნიკი" — 645, „დინამო" — 470, „განთიადი" — 437; **30 მ.** არველაძე — 315, სოხაძე — 301, ქორიძე — 272; **გუნდური.** „ბურევესტნიკი" — 888, „განთიადი" — 770, „დინამო" — 767. **აბსოლუტური.** არველაძე — 856, ქორიძე — 783, სოხაძე — 742.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: მარჯვნიდან — არველაძე, ქორიძე და დვალიშვილი ათვალიერებენ დაისრულ ფარს.

ავტორის ფოტო.

## რაიონების სპორტული ცხოვრებიდან

### ✦ სოხუმი

„სპარტაკის" სპორტდარბაზში გაიმართა მოსწავლეთა საქალაქო პირველობა ბადმინტონში. მოასპარეზენი სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. I ჯგუფში ყველას აჯობა მე-14 საშუალო სკოლის ნაკრებმა, II ჯგუფში — მე-20 სკოლამ. პირად პირველობაში ჭაბუკთა შორის საუკეთესო იყო მ. ნერსესიანი (მე-20 სკოლა), გოგონებში — ლ. კრუშევსკაია (მე-4 სკოლა).

გ. იაშვილი.

### ✦ ლაგოდეხი

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა პიონერთა და მოსწავლეთა სახლში. აქ ყოველწლიურად ტარდება პიონერთა მცირე ოლიმპიური თამაშები. წლეულს ეს ღონისძიება უკვე მეთერთმეტედ მოეწყო. ასპარეზობაში მონაწილეობდა რაიონის 3000-მდე პიონერი. პროგრამაში იყო შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილი მოიპოვა ვარდისუბნის საშუალო სკოლის პიონერთა კოლექტივმა.

ი. ჯავახიშვილი,
რაიონული გაზეთ „გამარჯვების დროშის" განყოფილების გამგე.

### ✦ გურჯაანი

ახლახან აქ გაიმართა ხელბურთელთა რაიონული პირველობა. I ადგილი დაიკავა რუსული საშუალო სკოლის გუნდმა.

ზ. წიკლაური.

### ✦ წალენჯიხა

მოსწავლეთა რაიონულმა სპარტაკიადამ დიდი ინტერესი გამოიწვია. დიდძალი მაყურებელი დაესწრო ველორბოლაში და კროსში გამართულ შეჯიბრებებს. 25 კმ-ზე რბოლაში 25 ნორჩი ველოსიპედისტი ჩაება. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა ქვედა მაზანდრის საშუალო სკოლის მოსწავლემ რ. ბენიამ. 800 მეტრზე გამართულ კროსში ყველას აჯობა ჯვარის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. არონიამ.

ო. ხალია.

### ✦ მახარაძე

გაიმართა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში. ფრენბურთელ ვაჟებში ყველას აჯობეს ნატანების წარმომადგენლებმა, გოგონებში — მახარაძის სამედიცინო სასწავლებლის სპორტსმენებმა. კალათბურთში და თავისუფალ ჭიდაობაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს ლაითურელებმა.

* * *

დამთავრდა რაიონული პირველობა ფეხბურთში. ყველას აჯობა ქვედა ბახვის კოლმეურნეობის გუნდმა, რომელმაც ფინალური შეხვედრა ანგარიშით 1:0 მოუგო ლაშეს ფეხბურთელთა კოლექტივს. ახლა ქვედაბახველები საქართველოს ზონალური გათამაშებისთვის ემზადებიან.

ო. კიშინსკი,
ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

# მსოფლიო ჩემპიონატის შტაბი

ფეხბურთი 1970

მეხიკო. აბრაჰამ გონზალესის ავენიუ, მ. აქაა დაბინავებული ფეხბურთის მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შტაბი. სამ ოთახში განაწილებულ 200 კაცს ამოცანად აქვს დასახული გადაწყვიტოს გადაუჭრელი პრობლემებიც კი. ვესტიბიულში სამ საწერ მაგიდას სამი მექსიკელი უზის და მიმსვლელებს იღებს.

— შემიძლია ველაპარაკო მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დონ გილერმო კანედოს?

— დიახ, სენიორ,— ამბობს პირველი მექსიკელი.

— დიახ, სენიორ, — ამბობს მეორე მექსიკელი.

— დიახ, სენიორ, — ამბობს მესამე მექსიკელი.

— სად შეიძლება მისი ნახვა? — ეკითხებით თქვენ.

— პირველ სართულზე, — ამბობს პირველი მექსიკელი.

— მეორე სართულზე, — ამბობს მეორე მექსიკელი.

— მესამე სართულზე, — ამბობს მესამე მექსიკელი.

სამივე საოცრად თავაზიანია.

ადიხართ პირველ სართულზე. დიდ დარბაზში დიდი საწერი მაგიდა დგას. მაგიდის თავზე კედელზე დაკიდებული ელექტრული საათი გვიჩვენებს, რამდენი დღე დარჩა მსოფლიო ჩემპიონატამდე. მაგიდასთან მოკლე კაბაში გამოწყობილი მომხიბლავი ქალიშვილი ტრიალებს.

— აქ არის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი?

— დიახ, სენიორ.

— შემიძლია ველაპარაკო კომიტეტის პრეზიდენტს გილერმო კანედოს?

— რასაკვირველია, სენიორ, დიდი სიამოვნებით.

— სად ვნახავ?

— მეორე სართულზე, სენიორ.

ადიხართ მეორე სართულზე. დიდ დარბაზში დიდი საწერი მაგიდა დგას. ელექტრული საათი კედელზე გვიჩვენებს, რამდენი დღე დარჩა მსოფლიო ჩემპიონატამდე. მაგიდასთან მომხიბლავი სენიორიტა ტრიალებს.

— მე მინდა ველაპარაკო სენიორ კანედოს.

— მეოთხე სართულზე, — ამბობს იგი.

— როგორ, მეოთხე სართულზე? განა ამ შენობაში სულ სამი სართული არ არის?

— მეოთხე ახლა შენდება, — ამბობს სენიორიტა.

— და პრეზიდენტი აგურებში უნდა ვეძებო?—ეკითხებით თქვენ.

— ამ, დიახ, დიახ. მაშინ სცადეთ, მესამე სართულზე იკითხეთ.

ადიხართ მესამე სართულზე, ისეთივე დარბაზი, ისეთივე საწერი მაგიდა და საათი, საათის ქვეშ მომხიბლავი ქერათმიანი ქალიშვილი, რომელსაც ტელეფონის 20 აპარატი უდგას წინ.

— დონ კანედო ძალიან მოუცლელია, — ამბობს იგი, — თუმცა, აბა, ერთ წუთს მოითმინეთ!

იძულებული ხართ მოითმინოთ ერთ წუთს, რომელიც ერთ-ორ საათს გრძელდება. შემდეგ დონ გილერმო კანედოს, უაღრესად თავაზიანი, დახვეწილი გემოვნების კაცის, ჭეშმარიტი ჯენტლმენის კაბინეტში შეგიყვანენ. იგი მყისვე სიგარას გთავაზობთ და ამბობს, რომ თქვენი დანახვა თავისი ცხოვრების ამ პერიოდში ყველაზე დიდ სიხარულს ანიჭებს, რაც თქვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. შემდეგ გაგონდებათ, რომ ეს მუდამ თავაზიანი და სტუმართმოყვარე მექსიკელების ჩვეულებრივი მანერაა და თქვენი ემოციებიც, ცოტა არ იყოს, ნელდება.

## მექსიკური რეპორტაჟები

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციისა და მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი საქმის ვითარებას გაცნობთ, აუცილებელი ფორმალობის გასაფორმებლად კი გგზავნით მეორე სართულზე, სადაც გუნდებთან და ჟურნალისტებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს აგვარებენ.

მეორე სართულზე უამრავი ოთახია და ყოველ ოთახში სამ-სამი კაცი ზის. თუ რაიმე პრობლემა გაწუხებთ, ამ სამიდან ერთ-ერთი მყისვე გეტყვით: „ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა". შემდეგ იგი დიდი მონდომებით ცდილობს ამ პრობლემების გადაწყვეტას. ოღონდ არ უნდა აჩქარდეთ, არავითარ შემთხვევაში. და პრობლემა უსათუოდ გადაწყდება. თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, სად დაბინავდნენ ბრაზილიისა თუ ურუგვაის გუნდები, შეიტყოთ საჭირო ტელეფონის ნომრები და, საერთოდ, რაც გნებავთ. კიდევ გაწუხებთ პრობლემები? ნუ ღელავთ, ბატონო, ყველაფერი მოგვარდება. ოღონდ საათს ნუ უყურებთ.

— ადამიანის უბედურება საათის გაჩენის დღიდან დაიწყო, სენიორ, — ღიმილით ამბობს ერთ-ერთი მოსამსახურე და სიგარას გთავაზობთ.

ოთახში, სადაც პრესისა და საზოგადოებრიობის კავშირის საკითხებზე მუშაობენ, ხშირად გაიგონებთ ასეთ საუბარს ტელეფონით: „არა, სენიორ. შეუძლებელია, რომ ინგლისმა პუებლაში ითამაშოს. ინგლისი ითამაშებს გვადალახარაში. სენიორ, გვესმის, რომ თქვენ პუებლაში ცხოვრობთ, მაგრამ ინგლისი გვადალახარაში თამაშობს. ვკითხოთ ინგლისის გუნდს, ხომ არ გაუცვლის ადგილს შვეციას? ო, არა, სენიორ, ეს შეუძლებელია. არა, პუებლადან გვადალახარაში მგზავრობის ფულს ჩვენ ვერ გადაგიხდით, სენიორ. უარს ამბობთ მატჩების ნახვაზე? დამშვიდდით, სენიორ. კარგად ბრძანდებოდეთ".




კაბინეტში, სადაც ჟურნალისტების აკრედიტებაზე მუშაობენ, შავგვრემანი ქალიშვილი მეფობს. მის დანახვაზე მყისვე გაიწუდებათ, რამ მიზანმა შემოგიყვანათ ამ ოთახში. იგი უმნიშვნელოვანესი საბუთებით გატენილ საქაღალდეებს კრავს, ხსნის და დაახლოებით ასე ღუღუნებს: „აჰ, იტალია! აჰ, იტალია! ო, რომი, რა სილამაზეა!" სამწუხაროდ, მან თქვენგან უნდა შეიტყოს მხოლოდ სახელი, გვარი, ეროვნება, უნდა გამოგართვათ მხოლოდ სამი ფოტოსურათი მოწმობისთვის. მისი ოთახის კართან მუდამ გრძელი რიგი დგას.

პირველ სართულზე სხვებთან ერთად ტრიალებენ მხატვრები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატს ლამაზ პლაკატებს უძღვნიან.

მეოთხე სართული? როგორც უკვე ვთქვით, იგი მხოლოდ შენდება. აქ იმუშავებენ მეხიკოს ულამაზესი ქალიშვილები, რომლებმაც მეგზურობა და დახმარება უნდა გაუწიონ ჩემპიონატზე მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ჟურნალისტებს. ჯერჯერობით ისინი ფიცრულში არიან დაბინავებული, რომელიც ბოლომდე გადახურულიც არ არის. მაგრამ, რა თავაზიანობას იჩენენ, რა ზრდილობიანად გექცევიან!

— როგორ არის თქვენი საქმე, სენიორ? — გეკითხებიან ისინი უდიდესი ინტერესით. ან ხიმალლეს იგულისხმებენ და გეტყვიან:

— სუნთქვა ხომ არ გიჭირთ, სენიორ?

ესპანურად ეს დაახლოებით ასე ჟღერს: „ორივე ნესტოთი შეგიძლიათ სუნთქვა?" თქვენ უსათუოდ გაგიჩნდებათ სურვილი, რომ ერთ-ერთი მათგანი კსოჩიმილკოში — ამ მექსიკის ვენეციაში მიიწვიოთ სასეირნოდ. იგი უარს გეტყვით, თან მთელი მისი მშვენიერი სახე უდიდეს მწუხარებას გამოხატავს ამ უარის გამო. უარს გეტყვით და პიჯაკზე მსოფლიო ჩემპიონატის სამკერდე ნიშანს დაგიმაგრებთ.

ჯანი რანიერი.

(იტალიის გაზეთ „პაეზე სერას" სპეც. კორ.).

„ბ" კლასი

I ქვეჯგუფის II ზონა

25 მაისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ შემდეგი ქალაქებიდან:

### ცხინვალი

ადგილობრივმა „სპარტაკმა" მიიღო ზონის ლიდერი — ლანჩხუთის „გურია". დაიწყო თუ არა მატჩი, სპარტაკელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია: ჯიჭოევი — ჯიქია — კაზიევი. ამ უკანასკნელის დარტყმამ ზუსტად მიაღწია მიზანს და სტუმრებს ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება.

ამის შემდეგ ლანჩხუთელთა იერიშები ტაიმის დასასრულამდე არ შეწყვეტილა. მათ საპასუხო ბურთის გატანის უამრავი მომენტი ჰქონდათ (საუკეთესო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ძიძიგური, პერტენავა, შავდია), მაგრამ „სპარტაკის" დაცვამ და ახალგაზრდა მეკარე ცხოვრებოვმა გაუძლეს ამ იერიშებს.

ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმი.

## უნაყოფო იერიშები

„გურია" უტევდა განუწყვეტლივ, სისტემატურად ქმნიდა სახიფათო მომენტებს, მაგრამ გოლი არ იქნა და არ გავიდა. ძელმა სამჯერ იხსნა სპარტაკელთა კარი აშკარა გოლისგან. ლიდერი იძულებული იყო დამარცხებული წასულიყო მინდვრიდან — 0:1.

ვ. მელქოევი.

### ტყიბული

„მეშახტემ" სტუმრად 3 მატჩი ჩაატარა და სამივე ფრედ დაამთავრა. ახლა საკუთარ მინდორზე საჭირო იყო ამ დანაკარგის ანაზღაურება, მაგრამ ფოთის „კოლხეთმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და წარმატების საშუალება არ მისცა. ამას გარდა, „მეშახტის" თავდამსხმელებმა სირაძემ, მიქამავიძემ, თოდიძემ კარის აღების რეალური შანსები დაკარგეს.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა ერთხანს გათანაბრდა, ბოლო 15 წუთი კი ისევ ტყიბულელთა განუწყვეტელი იერიშებით აღინიშნა. მაინც, სტუმრებმა შეძლეს კარის ხსნა და აიღეს ქულა — 0:0.

ზ. ჯორჯაძე.

### სხვა შედეგები

ამ დღეს გამართული სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0:0, „მეტალურგი" (კრასნი სულინი) — „კახეთი" (თელავი) 2:1, „სპარტაკი" (რიაზანი) — „ტორპედო" (ეისკი) 3:1, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „დინამო" (სოხუმი) 1:0, „სპარტაკი" (სარანსკი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 0:0, „სულორი" (ვანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 4 | 2 | 2 | 0 | 5—3 | 6 |
| „ტორპედო" (ეისკი) | 4 | 2 | 1 | 1 | 10—4 | 5 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 4 | 1 | 3 | 0 | 7—4 | 5 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—1 | 5 |
| „კახეთი" (თელავი) | 4 | 2 | 1 | 1 | 6—4 | 5 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 4 | 1 | 3 | 0 | 4—2 | 5 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—4 | 5 |
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 4 | 2 | 0 | 2 | 9—7 | 4 |
| „დინამო" (სოხუმი) | 4 | 1 | 2 | 1 | 4—3 | 4 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 4 | 0 | 4 | 0 | 3—3 | 4 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 4 | 0 | 4 | 0 | 3—3 | 4 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—2 | 4 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4—5 | 3 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4—7 | 3 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 4 | 1 | 1 | 2 | 2—7 | 3 |
| „სულორი" (ვანი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3—8 | 3 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 4 | 1 | 0 | 3 | 4—8 | 2 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 4 | 0 | 2 | 2 | 2—6 | 2 |

### კიდევ ერთი სპორტკლუბი: „მშენებელი"

სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივს სპორტული კლუბის სახელი ეწოდა.

ახალი სპორტკლუბი „მშენებელი" რესპუბლიკის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს შორის რიგით მესამეა. მანამდე ეს წოდება მიიღეს დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო („ლელო") და თბილისის მანქანათმშენებლობის („ისინდი") ტექნიკუმების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ისანი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

● „ენგური" (ზუგდიდი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

● „მალაროელი" (ჭიათურა) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 7:1. მსაჯი კ. აბაზაძე (თბილისი).

ეს იყო მატჩი, სადაც მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ თავიდან ბოლომდე. „მალაროელმა" შეხვედრა ჩაატარა დიდი მონდომებით, კოლექტიურად, ხოლო რაც შეეხებათ სტუმრებს, მათი თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა.

● „გიგანტი" (ლაითური) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი ა. ხიანოზოვი (თბილისი).

თამაში უინტერესო და ინერტული გამოდგა. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (ფსუტური), რომლის გაქვითვა ლაითურელებმა მეორე ტაიმში (შაფათავა) შეძლეს.

● „სინათლე" (თბილისი)—ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:3. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

პირველ წარმატებას და ისიც უკვე მე-5 წუთზე მიაღწია „სინათლემ" როგავას ზუსტი დარტყმის შემდეგ. მაგრამ გუნდმა ვერ შეძლო წარმატების განმტკიცება. სტუდენტებმა მტკიცედ აიღეს ხელთ ინიციატივა, ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ გაიმარჯვეს კიდეც. აღსანიშნავია, რომ სამივე გოლის ავტორი იყო კირაკოსიანი.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „ციხკარი" (სიღნაღი) 1:0. მსაჯი მ. მინოშვილი (თბილისი).

ცხაკაიელმა ფეხბურთელებმა გამარჯვება მხოლოდ დაძაბული ბრძოლით მოიპოვეს. ერთადერთი ბურთი სიღნაღელთა კარში მე-13 წუთზე გაიტანა მურღულიამ.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 1:0. მსაჯი დ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

მოწინააღმდეგეები შესვენებაზე წავიდნენ ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმში „სალხინომ" ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ ბურთის გატანა მხოლოდ 82-ე წუთზე შეძლო (დიხამინჯია).

### II ჯგუფი

I ზონა

„არაგვი" (მცხეთა) — „აბული" (ახალქალაქი) 3:1, „გარისი" (თეთრი წყარო) — „გარეჯი" (საგარეჯო) 1:3, „მევენახე" (ბოლნისი) — „შევარდენი" (თბილისი) 2:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:0, „ვარძია" (ასპინძა) — „მშენებელი" (წალკა) 2:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:0, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „სპარტაკი" (რუსთავი) 0:1.

II ზონა

„განახლება" (ადიგენი) — „დინამო" (ქუთაისი) 1:0, „განთიადი" (აბაშა) —„კოლხეთი" (ხობი) 0:3, „კოლმეურნე" (ქედა) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:1, „ჭოროხი" (ბათუმი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:0, „სამეგრელო" (ზუგდიდი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 1:0. სამტრედიის „მექანიკოსს" მოგება ჩაეთვალა ზესტაფონის „მერცხალთან".

## გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 26 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 18 | 10 | 5 | 9 | 37—15 | 25 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 15 | 9 | 4 | 2 | 23—8 | 22 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 15 | 9 | 4 | 2 | 28—14 | 22 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 16 | 9 | 4 | 3 | 23—12 | 22 |
| „ისანი" (თბილისი) | 17 | 6 | 9 | 2 | 19—14 | 21 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 15 | 7 | 6 | 2 | 24—13 | 20 |
| „სამცხე" (აწყური) | 17 | 5 | 10 | 2 | 16—14 | 20 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 17 | 8 | 4 | 5 | 22—25 | 20 |
| „სინათლე" (თბილისი) | 16 | 7 | 4 | 5 | 22—18 | 18 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 16 | 5 | 8 | 3 | 18—15 | 18 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 17 | 4 | 8 | 5 | 17—19 | 16 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 16 | 4 | 7 | 5 | 15—15 | 15 |
| „მზიური" (გალი) | 16 | 3 | 9 | 4 | 16—17 | 15 |
| „ციხკარი" (სიღნაღი) | 16 | 3 | 7 | 6 | 9—12 | 13 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 17 | 1 | 11 | 5 | 11—26 | 13 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 16 | 2 | 8 | 6 | 10—23 | 12 |
| ასკ (თბილისი) | 14 | 4 | 3 | 7 | 13—16 | 11 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 15 | 3 | 5 | 7 | 12—20 | 11 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 15 | 3 | 5 | 7 | 9—17 | 11 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 15 | 2 | 6 | 7 | 14—18 | 10 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 16 | 2 | 6 | 8 | 17—22 | 10 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 15 | 1 | 3 | 11 | 11—33 | 5 |

### ზესტაფონი

რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის კალათბურთელ ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები სტუმრად ეწვივნენ ხაშურის მოსწავლეებს. ზესტაფონელებმა მოიგეს გოგონათა ასპარეზობა, მასპინძლებმა კი ჭაბუკთა შეხვედრა.

ა. განუგრავა.

# ტანმოვარჯიშეებმა ალამი აღმართეს

მინსკი, 26 მაისი. სამშაბათ საღამოს ადგილობრივ სპორტის სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი. ეს ტურნირი 41-ედ ტარდება. 27 მაისს ცნობილი გახდება ვაჟთა საუკეთესო გუნდი (შეჯიბრება ტარდება მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით), 30 მაისს — ქალთა კოლექტივებს შორის გამარჯვებული. მაისის ბოლო დღეს გაირკვევა პირადი ჩათვლის შედეგებიც.

ვაჟთა ტურნირმა საბჭოთა ტანვარჯიშის საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი. გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები არიან მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოველი მ. ვორონინი, მისი თანაქალაქელები — სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ს. დიომიდოვი, ოლიმპიელები ვ. კარასიოვი, ვ. კლიმენკო, ვ. ილინიხი, სსრ კავშირის ნაკრების ვეტერანი ვ. ლისიცკი (მოსკოვის ოლქი).

ინტერესით ელიან გამოცდილი თბილისელი ოსტატის მ. ბოგუსისა და ახალგაზრდა ვორონეჟელი ტანმოვარჯიშის ა. მალეევის გამოსვლას. საინტერესოა, როგორ იასპარეზებენ ნაკრების ახალგაზრდა კანდიდატები ნ. ანდრიანოვი (ვლადიმირი) და ვ. ფოგელი (მოსკოვის ოლქი).

ქალთა შეჯიბრებაში ქვეყნის ექს-ჩემპიონები ნ. კუჩინსკაია და ლ. პეტრიკი არ მონაწილეობენ: პირველი ჩემპიონატისთვის არ მომზადებულა, მეორე კი ჯერ არ განკურნებულა ტრავმისგან. სამაგიეროდ, კვლავ საბრძოლო ფორმაშია ახალგაზრდა დედა ზ. ვორონინა. მოსკოველ სპორტსმენს მტკიცედ აქვს განზრახული ფიცარნაგზე ბრძოლა გაუმართოს ლ. ბურდას (ვორონეჟი), თავის თანაქალაქელ ო. კარასიოვას, გროზნოელ ლ. ტურიშჩევას. სასპარეზოდ ჩამოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ბელორუსიელი ტანმოვარჯიშეები თ. ლაზაკოვიჩი და ო. კორბუტი.

როგორც მუდამ ხდება ასეთი რანგის შეჯიბრებებში, ერთობ სოლიდურია მსაჯთა შემადგენლობაც — ბ. შახლინი, პ. სტოლბოვი, ვ. კერდემელიდი.

ოქროს დიდი მედლების გათამაშება ამჯერად იმიტომ ტარდება გაზაფხულზე (და არა წლის ბოლოს), რომ ოქტომბერში საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ლიუბლიანის (იუგოსლავია) მსოფლიო ჩემპიონატში მოუწევთ გამოსვლა. მინსკის ტურნირი ამ ასპარეზობისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია.

ჩემპიონატის გახსნის დღეს დიდი წარმატებით ჩატარდა საჩვენებელი გამოსვლები.

(საქდესი).

# შეცდომები...

უშეცდომოდ ჭადრაკს არავინ თამაშობს. შეცდომა მრავალი სახისაა: მიამიტური, ბედოვლათური, მიუტევებელი, მოჩვენებითი, უხეში... ყველა შეცდომა შესაწყნარებელი როდია, თუმცა ამბობენ „შეცდომებზე ვსწავლობთო“. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით V ტურის შეხვედრები.

ბულგარეთის ჩემპიონს ა. გეორგიევას წინადღით ნ. ალექსანდრიასთან გამარჯვებით შესაძლებლობა მიეცა ლიდერებს დასწეოდა. მით უმეტეს, რომ V ტურში იგი ა. ნიკოლაუს (რუმინეთი) შეხვდა და მიზნის განხორციელება შეეძლო. მან კი ისე მიამიტად, უღიმღამოდ გაითამაშა დებიუტი, რომ მალე თითქმის უბრძოლველად დიდი მატერიალური ზარალი განიცადა.

რატომ თამაშობდა ასე ბულგარელი სტუმარი?

— ნანასთან თამაშს დიდი სულიერი ძალა მოვანდომე. გამარჯვებამ ალბათ სიფხიზლეც მომიდუნა, — თქვა გეორგიევამ.

როგორც ჩანს, თ. ხუგაშვილიც დაიღალა: იგი ხომ უდიდესი დაძაბულობით თამაშობდა ყველა პარტიას და ე. რუბცოვასთან პრინციპულ შეხვედრაშიც დიდი მონდომებით იბრძოდა. რთულ პოზიციაში თამარმა პაიკი შესწირა. ვერავინ მიხვდა, რა მიზანი ჰქონდა ამ „კომბინაციას“. ვერც მიხვდებოდნენ: ეს უხეში შეცდომა იყო. თბილისელ მოჭადრაკეს მოეჩვენა, თითქოს პაიკს დაუბრკოლებლად იბრუნებდა და მეფის პოზიციასაც იცავდა. მოხდა კი პირიქით: დაცვითი ნაგებობა პაიკის გამოცლით განადგურდა.

ეს შეცდომები გასაგები და შესაწყნარებელია. ზოგჯერ მოჭადრაკეს ადამიანური სისუსტე იძლევა, ზოგჯერ საბრძოლო განწყობა არა აქვს, ზოგჯერაც განვლილი ბრძოლის შთაბეჭდილებითაა აღსავსე.

აი, რა მოხდა ც. კახაბრიშვილი — ნ. ჩიქობავას პარტიაში.

ჩიქობავა



კახაბრიშვილი

აქ ჩიქობავას 34-ე სვლა იყო. ეს პოზიცია თავისი პაიკთა ჯაჭვით ტიპიურია ძველინდური დაცვისთვის. ცნობილია, რომ აქედან გამომდინარე ენდშპილი ხშირად შავებისთვისაა სასარგებლო. ჩიქობავა ასე აგრძელებს თამაშს:

34. ... ლg3 35. ლf2 ლ:f2 36. მ:f2 dc

რა საჭირო იყო ლაზიერების ასეთი გაცვლა და c5-ზე პაიკის აყვანა? სწორი იყო 35. ... კa4 36. b3 კb5 37. კ:b5 ab 38. cd cd 39. მფc2 მe8 მოსალოდნელი ყაიმით. ახლა ჩიქობავას უკვე წასაგები პოზიცია აქვს. მისი პაიკები დასუსტდნენ. თამაში ასე გაგრძელდა: 37. კ:a6 c6 38. dc კ:c6 39. მd3 კa4 40. b3 კe8 41. მ:c5 და პარტია გადაიდო. შედეგი ძნელი გამოსაცნობი როდია.

ნუთუ ჩიქობავამ არ იცოდა, რომ ამ ტიპიურ პოზიციაში ასე არ თამაშობენ? ალბათ იცოდა, და ... დაავიწყდა. ეს კი უპატიებელია მისი ძალის მოჭადრაკისთვის. ასეთ პოზიციებს იგი ავტომატურად უნდა თამაშობდეს.

უშეცდომოდ არც სხვა შეხვედრები ჩატარებულა.

ც. კობაიძის შეცდომა ნ. ალექსანდრიასთან პარტიაში მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდა, როცა სსრ კავშირის ჩემპიონმა პაიკი მოიგო. ეს პარტია გადაიდო. იუგოსლაველი მ. მერლინი ისე აშკარად ცდებოდა, რომ ო. რუბცოვამ (მოსკოვი) სწრაფად დაამარცხა იგი. ყაიმით დასრულდა ლ. კორონშინაძე — ო. ანდრეევას (ხარკოვი) შეხვედრა.

პოლონეთის ჩემპიონმა ქ. რაძიკოვსკამ მთელი საღამო მაყურებლებში გაატარა, ვინაიდან მისი მეტოქე ე. კაკაბაძე ავად იყო და სათამაშოდ არ გამოცხადდა.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ა. რუბცოვა და ნიკოლაუ — 4,5-4,5 ქულა. ხუგაშვილს 3,5 ქულა აქვს, გეორგიევას — 3.

თ. გიორგაძე.

* * *



სურათზე: „ბრძოლის ველი“. მ. ზარგარიანის ფოტო.

# ახალი ამბები

● ბუქარესტი, 26 მაისი. რუმინეთის მძლეოსანთა შეჯიბრება რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. მაგალითად, შ. იოანი 215 სმ სიმაღლეზე გადახტა, ქ. კორბუმ სამხტომში 16,50 მ აჩვენა, ვ. ბონჩიმ 176 სმ სიმაღლე გადალახა.

● ბურგნაიკირხენი (გფრ), 26 მაისი. დასავლეთ გერმანიის მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 24 წლის კ. ვოლფერმანმა შუბის ტყორცნაში ქვეყნის ახალი რეკორდი (83,62 მ) დაამყარა, რომელიც ძველს 2 სანტიმეტრით აღემატება.

ჟოსა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

# მეხიკო, მეხიკო...

მეხიკო, 27 მაისი. მსოფლიოს IX საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალურმა პირებმა გამოაცხადეს მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში გუნდების გასვლის სისტემა. იმ შემთხვევაში, თუ ქვეჯგუფებში გამართული მატჩების შემდეგ გუნდები ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ, მხედველობაში მიიღება გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა. თუ ესეც ვერ გამოავლენს გამარჯვებულს, მაშინ დავას კენჭისყრა გადაწყვეტს.

მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში, ძირითად დროს ორი 15-წუთიანი ტაიმი დაემატება. თუ 120-წუთიანი ბრძოლაც ვერ გამოავლენს გამარჯვებულს, ძალაში ისევ კენჭისყრა შევა. ერთადერთი, რაც ჩემპიონატის ორგანიზატორებმა არ გამოაცხადეს, შემდეგია: რას მოიმოქმედებენ ისინი, თუ ფინალური მატჩი, დამატებითი დროის მიუხედავად, გამარჯვებულს არ დაასახელებს.

* * *

სანამ ორგანიზატორები „ასე შორს იცქირებიან“, მწვრთნელები მოუთმენლად ელიან შეჯიბრებებს ქვეჯგუფებში.

ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელმა მ. ზაგალომ განაცხადა, რომ მას შეუძლია დაასახელოს მხოლოდ ერთი მოთამაშე, რომელიც პირველ მატჩში, ჩეხოსლოვაკიის გუნდის წინააღმდეგ გამოვა. ესაა მეკარე ფელიქსი.

ბოლო დღეებში საბჭოთა ნაკრები „დახურულ“ მეცადინეობებს ატარებს. შაბათს იგი მსუბუქ საწვრთნელ მატჩში შეხვდა... საბჭოთა დიპლომატების გუნდს. კვირას საბჭოთა ფეხბურთელები ისვენებდნენ, ორშაბათს კი მთაში გაემგზავრნენ, სადაც სეროზული ვარჯიში ჰქონდათ.

სსრ კავშირის, სალვადორისა და მექსიკის ნაკრები კოლექტივების მწვრთნელებმა ბელგიის ეროვნული გუნდის საკონტროლო მატჩი ნახეს. და ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბელგიელებმა არ გამოავლინეს თავიანთი საბრძოლო ფორმა. „ცხადია, — თქვა ბელგიელთა მწვრთნელმა. — რაში გვჭირდება სამ ასეთ მაყურებელს გავუხსნათ კარტი“.

* * *

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა უკვე დაამყარა თავისებური რეკორდი: მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში მისმა მოთამაშეებმა სამი დაბადების დღე აღნიშნეს. როცა თავიანთ მწვრთნელს ი. მარკოს ულოცავდნენ, მთელი გუნდი მწყობრში ჩადგა და თავის დამრიგებელს დაპირდა, რომ ყველაფერს იღონებს მეოთხედფინალში გასასვლელად: ეს თქვენი საჩუქარი იქნებაო. მერე მოთამაშეებმა მიირბინეს თავიანთ მწვრთნელთან, ხელში აიტაცეს და ტანისამოსიანად აუზში უკრეს თავი.

ბევრი ფეხბურთელის სიტყვებს თუ დავუჯერებთ, ბანაობა ახლა პირდაპირ მისწრებაა. ლეონში, მაგალითად, სადაც გფრ-ის, პერუს, ბულგარეთისა და მაროკოს გუნდები იმყოფებიან, თერმომეტრი პლუს 35 გრადუსს უჩვენებს.

* * *

ჩემპიონატის წინ ბევრი გუნდის მეკარეები სენსაციური განცხადებებით გამოვიდნენ. ისინი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ძალიან უჭირთ მაღალმთიანეთის პირობებში ალღო აუღონ ბურთის ფრენას. ისინი ჩივიან, რომ მათთვის მოულოდნელად თავდამსხმელთა დარტყმის ძალა ერთობ გაიზარდა და ბურთები პირდაპირ რეაქტიული სისწრაფით ფრენენ. იტალიის ნაკრების მეკარეებმა ალბერტოზიმ და ძოფმა, მაგალითად, განაცხადეს, რომ მათ უბრალოდ არ იციან რანაირად უკუაგდონ 20 მეტრზე ახლოდან დარტყმული ბურთები. რუმინელთა მეკარე ნეკულა საწვრთნელ მატჩში ისეთ იოლ ბურთებს უშვებდა, რომ ახალბედა გეგონებოდათ. ინგლისელთა ნაკრების კარის დარაჯმა ბენქსმა თქვა, რომ მეკარეებს ამგვარ პირობებში ბევრი შეცდომა უნდა ეპატიოთ.

* * *

მოთამაშეებთან ერთად ჩემპიონატისთვის მზადებას ამთავრებენ მსაჯებიც. ყოველდღე — დილით და საღამოთი ისინი საწვრთნელ მინდორზე იკრიბებიან. ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტის წევრთა აზრით, არბიტრების ფიზიკური ფორმა საუცხოოა. საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ მსაჯები განიხილავენ ათასგვარ სიტუაციას, რომლებიც შესაძლოა მინდორზე მოხდეს და თავიანთი, ჯერჯერობით სოლიდარული გადაწყვეტილებები გამოაქვთ.

სამშაბათს მექსიკაში ჩამოსული ყველა 16 გუნდის მოთამაშეებს საათნახევრიანი კინოფილმი უჩვენეს. აქ თავმოყრილი იყო გასული მსოფლიო ჩემპიონატების მატჩების „შავი მომენტები“. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ეს სანახაობა მოთამაშეებს რამდენადმე ააღებინებს ხელს უხეშ თამაშზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

31 მაისს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება — „მორბენლის დღე“.

პროგრამაშია 100, 200, 400 და 800 მეტრზე რბენა; 100, 110 და 400 მეტრზე თარჯრბენი. სტარტებზე გამოვლენ ვაჟები, ქალები, ჭაბუკები და ქალიშვილები.

7 ივნისს ანალოგიური ტურნირი მოეწყობა ხტომებსა და ტყორცნებში, ხოლო 14 ივნისს — გრძელ მანძილებზე რბენასა და სპორტულ სიარულში.

ასპარეზობაში დაიშვებიან ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ნიჭიერი ათლეტები.

შეჯიბრებათა დასაწყისი 17 ს.

# ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

ტურინი. ქალთა ფეხბურთის ევროპული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუჩიმ გამოაქვეყნა ქალთა შორის ფეხბურთში I მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ოფიციალური კალენდარი. გათამაშება შედგება წლეულს, 7-15 ივლისს, იტალიაში.

მონაწილე გუნდები კენჭისყრამ ასე გაანაწილა:

„ა“ ჯგუფი: 7 ივლისი. ბარი. მექსიკა — ავსტრია. 8 ივლისი. სალერნო. იტალია — შვეიცარია. 10 ივლისი. ნეაპოლი. ნახევარფინალი გამარჯვებულთა შორის.

„ბ“ ჯგუფი. 7 ივლისი. გენუა. ინგლისი — საფრანგეთი. 8 ივლისი. ბოლონია. ჩეხოსლოვაკია — დანია. 10 ივლისი. მილანი. ნახევარფინალი გამარჯვებულთა შორის.

ფინალური მატჩები გაიმართება ტურინში: 13 ივლისი — მატჩი III ადგილისთვის, 15 ივლისი — მატჩი I ადგილისთვის.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04231